სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 72

2014 წლის 19 აგვისტო

ქ. თბილისი

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ,,ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში“ 2014 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსის „ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში" " დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 28 ივლისის N93/ნ ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე", ე¹" და ,,თ" ქვეპუნქტებისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2014 წლის 25 თებერვლის N03 სხდომის ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ,,ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში" 2014 წლის კონკურსი.
2. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ,,ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში" 2014 წლის კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს პროგრამის „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში" თემატიკა, მიზნები და ამოცანები ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ,,ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში" 2014 წლის კონკურსში წარსადგენი საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №3- ის შესაბამისად.

5. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ,,ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში" 2014 წლის კონკურსში წარდგენილი პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი №4- ის შესაბამისად.

6. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ,,ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში" 2014 წლის კონკურსში წარსადგენი პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი №5- ის შესაბამისად.

7. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ,,ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში" 2014 წლის კონკურსში წარსადგენი პროექტის მონაწილეთა პროფესიული ავტობიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი №6- ის შესაბამისად.

8. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ,,ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში" 2014 წლის კონკურსში მონაწილეობის შესახებ იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №7-ის შესაბამისად.

9. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

10. ბრძანება ძალაშია მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

თინათინ ბოჭორიშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის 2014 წლის 19 აგვისტო

N 72 ბრძანებით

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ,,ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთკავკასიაში“ 2014 წლის კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიეროფონდის (შემდგომში - ფონდი) მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსი მიზნად ისახავს მეცნიერების სფეროში საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავებასა და გაფართოებას საფრანგეთის რესპუბლიკასთან, მეზობელ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან (სომხეთი, აზერბაიჯანი) და უკრაინასთან. აღნიშნული უნდა განხორციელდეს საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის (CNRS) პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითიჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში“ (შემდგომში - პროგრამა) ქართველ მეცნიერთა მონაწილეობის ფონდის მხრიდან ფინანსური უზრუნველყოფით.
2. პროგრამაში საქართველოს მხრიდან მონაწილეობას მიიღებს ქართველ მეცნიერთა ჯგუფი, რომელთა მიერ წარმოდგენილი პროექტი (შემდგომში - პროექტი) გაიმარჯვებს ამ დებულების შესაბამისად გამართულ საგრანტო კონკურსში.
3. პროგრამას ჰყავს კოორდინატორი საფრანგეთის (CNRS-ის) მხრიდან.
4. პროგრამის სამეცნიეროშინაარსიდან გამომდინარე საგრანტო კონკურსის თემატიკა მოიცავს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებს, კერძოდ,მცირე კავკასიის (სამხრეთ კავკასიის) ქედის ბუნებრივი რესურსების და ტექტონიკური აქტივობის კვლევას.

მუხლი 2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი.
2. ფონდი უზრუნველყოფს:
ა) საგრანტო კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ბ) საგრანტო კონკურსის გამართვის წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების ანგარიშის ფორმების დამტკიცებას;
გ) საგრანტო კონკურსში წარდგენილი პროექტების საგრანტო კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენას;
დ) საგრანტო კონკურსის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტების დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ შეფასებას;
ე) ფონდის სამეცნიერო საბჭოსათვის დასაფინანსებელი პროექტების დასამტკიცებლად წარდგენას;
ვ) გამარჯვებული პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას, დაფინანსებასა და პროექტის შესრულების მონიტორინგს.

მუხლი 3. სუბიექტები

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

ა) წამყვანი ან/და თანამონაწილე ორგანიზაციის სახით- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, რომელთა წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს;
ბ)ძირითადი პერსონალის სახით – დოქტორანტს, მაგისტრის/დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქეს;
2. პროექტს ხელმძღვანელობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფიზიკური პირი (შემდგომში - სამეცნიერო ხელმძღვანელი).
3. სავალდებულოა საგრანტო კონკურსში წარდგენილ პროექტს ახლდეს CNRS-ის მხრიდან პროგრამის კოორდინატორის მხარდაჭერის წერილი.

მუხლი 4. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები და ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება

1. ფონდის მიერ შესაძლებელია არაუმეტეს ერთი პროექტის დაფინანსება.
2. პროექტის დაფინანსება შეადგენს მაქსიმუმ 80000 ევროს ეკვივალენტს ლარებში.
3. ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:
ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
გ) მივლინება: სამივლინებო ხარჯები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განისაზღვრება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად;
დ) საქონელი და მომსახურება: „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით, საქონელი და მომსახურების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით გათვალისწინებული ხარჯები;
ე) არაფინანსური აქტივები: აღნიშნული კატეგორია გულისხმობს, ძირითადი აქტივის შეძენის ხარჯს, რომელთა საექსპლუატაციო ვადა აღემატება ერთ წელს, მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება მომსახურების პროცესში და ერთეულის ღირებულება შეადგენს 500 ლარს და მეტს და „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით, არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციის მუხლით გათვალისწინებული ოპერაციების გაწევას.
ვ) ზედნადები ხარჯები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მიღებული დაფინანსების 5%-ს.
4. საგრანტო დაფინანსებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, შენობა ნაგებობის კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.
5. ფონდის მხრიდან პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთწლიანი ტრანშების სახით. თითოეული ტრანშის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20 000 ევროს ეკვივალენტს ლარებში.
6. საგრანტო დაფინანსების თანხები გადაირიცხება პროექტისათვის გახსნილ საბანკო ანგარიშზე ავანსის სახით. ყოველი მომდევნო ტრანში გადაირიცხება წინა საანგარიშო პერიოდის შედეგების შესრულების შესახებ ფონდში წარდგენილი ანგარიშების განხილვის საფუძველზე.

7. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და ძირითად პერსონალს მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

მუხლი 5. საგრანტო კონკურსის ძირითადი ეტაპები

საგრანტო კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

ა) საგრანტო კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების ფონდში წარდგენა;

გ) წარდგენილი პროექტების საგრანტო კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

დ) პროექტების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ;

ე) გამარჯვებული პროექტისდასაფინანსებლად დამტკიცება ფონდის სამეცნიერო საბჭოს მიერ;

ვ) გამარჯვებულებთან ფონდის მიერსაგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ფონდში ქართულ ენაზე ელექტრონული ფოსტით წარდგენილ უნდა იქნას ფონდის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით დამტკიცებული დანართების მიხედვით შევსებული ფორმები. კერძოდ პროგრამის თემატიკის, მიზნებისა და ამოცანების (დანართი 2) გათვალისწინებით მომზადებული საპროექტო წინადადების ფორმა (დანართი 3), პროექტის ბიუჯეტის ფორმა (დანართი 4), პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (დანართი 5), პროექტის მონაწილეთა პროფესიული ავტობიოგრაფია (დანართი 6), კონკურსში მონაწილეობის შესახებ იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადება (დანართი 7). აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად ელექტრონული ფოსტით წარდგენილ უნდა იქნას პროექტის ფრანგი კოორდინატორის მხარდაჭერის წერილი.

2. პროექტები წარდგენილი უნდა იქნას შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: international@rustaveli.org.ge 2014 წლის 19 აგვისტოდან 2014 წლის 8 სექტემბრის 24 საათამდე.

3. ფონდის კანცელარიაში, აგრეთვე, წარდგენილი უნდა იქნას კონკურსში მონაწილეობის შესახებ იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადება (დანართი 7) ორიგინალი არაუგვიანეს 2014 წლის 11 სექტემბრის 16 საათისა.

4. ვადის დარღვევით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსოდ აღარ მიიღება.

5. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. საგრანტო კონკურსის პირობებთან შესაბამისობაში მყოფ პროექტებს შეაფასებენ დამოუკიდებელი ექსპერტები.

2. დამოუკიდებელი ექსპერტები პროექტებს შეაფასებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 28 ივლისის N 93/ნ ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად.

3. დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებების საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლინდება უმაღლესი შეფასების მქონე პროექტი. ქულათა თანაბრობის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება ქულათა რაოდენობა დაგროვილი შეფასების უფრო მაღალი წონის ქვეკრიტერიუმის ფარგლები.

4. დაუშვებელია ექსპერტი იყოს პირი, რომელიც არის საგრანტო კონკურსის მონაწილე.
5. არ შეიძლებაექსპერტი იყოს პირი:
ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია ძირითადი პერსონალის რომელიმე წევრთან ან მონაწილეობს მასთან ერთსადაიმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში;
ბ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტისდაფინანსების ან არდაფინანსების შემთხვევაში;
გ) რომელიც არის პროექტის ძირითადი პერსონალის ნათესავი.
6. ამ წესის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:
ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
ბ) მეუღლე, მეუღლისდა-ძმა დაპირდაპირი ხაზის ნათესავი;
გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.
7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვით აცილების შესახებ.
8. ექსპერტი შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით ახდენს დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად, საკუთარი ცოდნისა და შეხედულებების შესაბამისად და ფონდის მხრიდან რაიმე სახის ჩარევის გარეშე.
9. ექსპერტების ვინაობა კონფიდენციალურია.
10. საგრანტო კონკურსის შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს ექსპერტთა დასკვნების გაცნობას დაინტერესებული პირისათვის ექსპერტთა ვინაობის გამხელის გარეშე.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება და პროექტის მონიტორინგი ფონდის მიერ
1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტის სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას გრანტის მიმღებ ძირითად პერსონალთან, სამეცნიერო ხელმძღვანელთან, წამყვან ორგანიზაციასთან, გრანტის მიმღებ თანამონაწილე ორგანიზაციასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
2. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე გრანტის მიმღები წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაცია ფონდს წარუდგენს წერილობით დადასტურებას იმის შესახებ, რომ არა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება, არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში. ასევე ცნობას ბანკიდან მის არსებულ ანგარიშებზე საინკასო დავალებების არარსებობის შესახებ.
3. ფონდი უფლებამოსილია, საგრანტო დაფინანსების მიმღები წამყვანი ორგანიზაციისა და პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის (თითოეული საანგარიშო პერიოდის ხანგრძლივობა 1 წელია) დაწყებამდე, არა უგვიანეს 20 დღით ადრე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ბიუჯეტში განახორციელოს ცვლილება.
4.საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული პროექტის მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
5.ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბიუჯეტთან.
6. პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას ფონდი ეყრდნობა გრანტის მიმღებთა მიერ ამოცანების შესრულების შესახებ მიწოდებულ ინფორმაციას.

7.პროექტის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

8. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად თუ პროექტის ფარგლებში ფონდის მიერ ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე, პროექტის დახურვის მომენტში წარდგენილია ანგარიშები, დაწერილია შესაბამისი განხილვის აქტები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

დანართი N2

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის 2014 წლის 16 ივლისის

N 72 ბრძანებით

პროგრამის „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში" თემატიკა, მიზნები და ამოცანები

მცირე კავკასიის (სამხრეთ კავკასიის) ქედს, რომელიც ვრცელდება სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიაზე, თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და გეოლოგიური მახასიათებლების გამო უკავია მნიშვნელოვანი ადგილი, ზოგადად, დედამიწის შემსწავლელი კვლევების სფეროში. რეგიონი მოქცეულია გეოლოგიური წარსულის ოკეანე ტეთისის აქტიურ მთიან სარტყელში, რითაც იგი იძენს დამატებით ღირებულებას შესაბამისი სამეცნიერო პრობლემების კვლევის თვალსაზრისით.

როგორც გეოლოგების, ისე საზოგადოების ინტერესი მცირე კავკასიის მიმართ შეიძლება, ზოგადად, განისაზღვროს ორი მიმართულებით: არსებული ბუნებრივი რესურსები (კერძოდ, ლითონური და ნახშირწყალბადის საბადოები) და აქტიური ტექტონიკა დაკავშირებული სეისმურ რისკებთან. ორივე სფერო მოიცავს ფუნდამენტალური მეცნიერების მნიშვნელოვან ამოცანებს, რომელთა მიზანია კოლიზიური სარტყელის ტექტონური და გეოლოგიური პროცესებით გამოწვეული შედეგების კვლევა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2014-2017 წლებში შესრულდება ერთობლივი პროგრამა „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში", რომლის კოორდინატორია ფრანგი მეცნიერი დოქტორი მარკ სოსონი.

სამხრეთ კავკასიის ქედის შესწავლა საშუალებას იძლევა დაზუსტდეს ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ევოლუციის საწყისი ეტაპები და შესაბამისად პროგრამა წარმოადგენს საფრანგეთის ასტრონომიისა და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ეროვნული ინსტიტუტის (INSU) ხმელთაშუა ზღვის პროგრამის ნაწილს.

პროგრამის წარმატებით განხორციელების წინაპირობას ჰქმნის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მაღალი დონის სპეციალისტების არსებობა და წლების განმავლობაში ადგილზე ჩატარებული კვლევებით დაგროვილი გამოცდილება, რაც აუცილებელია როგორც თანამედროვე დონის საექსპედიციო სამუშაოთა შესრულებისათვის, ისე უკვე არსებული ცოდნისა და მასალების ანალიზისთვის. აღსანიშნავია, რომ 2003 წლიდან საფრანგეთის მხარე ნაყოფიერად თანამშრომლობს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მეცნიერებთან.

პროგრამაში სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს დედამიწის შემსწავლელი დარგის მეცნიერთა ჯგუფების ერთობლივი საქმიანობა, ასევე უკრაინელ მკვლევართა მონაწილეობა, შესაძლებელს ხდის განისაზღვროს ამ ქვეყნების ერთმანეთთან და საფრანგეთის მეცნიერებთან თანამშრომლობის ფორმატი 2014-2017 წლების განმავლობაში. ამასთან პროგრამა წარმოადგენს პლატფორმას ინფორმაციის გაცვლის, სემინარების ორგანიზებისა და მკვლევართა მობილობის გამარტივებისათვის. კერძოდ, იგი უზრუნველყოფს:

- მონაწილეთა დაკავშირების და გაცვლის გამარტივებასა და მხარდაჭერას;
- ნებისმიერი სახის თანამშრომლობის წახალისებას;
- ერთობლივი კვლევითი პროექტების დანერგვასა და კოორდინაციას, რაც, თავის მხრივ, დაეხმარება კვლევებსა და ტექნოლოგიურ განვითარებას;

- სემინარების, კონფერენციების მომზადებასა და საერთაშორისო კვლევითი ჯგუფისათვის აქტუალური ნებისმიერი სხვა სამეცნიერო თემის ირგვლივ პროგრამების ჰარმონიზაციას.
- ტრეინინგების ორგანიზაციას.

2014-2017 წლებში ჩასატარებელი კვლევა კონცენტრირებული უნდა იყოს ორ ძირითად ამოცანაზე: **1) სეისმური რისკი და 2) ბუნებრივი რესურსები,** რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავენ შემდეგ საკითხებს:.

- ოქროს და ქრომის რესურსების განსაზღვრა ობდუქცირებული ოფიოლიტური დასტის გაშიშვლებაში;
- დანალექი აუზების ევოლუცია, რომელიც ამჟღავნებენ ნახშირწყალბადების მნიშვნელოვან პოტენციალს (მუშავდება მტკვრის აუზში, შავ ზღვაში, საქართველოში, აზერბაიჯანში და უკრაინაში).
- რამდენიმე ათეული კილომეტრზე (ან მეტი?) ოფიოლიტების შეცოცება გონდვანურ პლატფორმაზე, რომელიც ატარებს არაბეთის ფილის მრავალ სედიმენტოლოგიურ და სტრატიგრაფიულ ნიშანთვისებებს (იგულისხმება ნახშირწყალბადების შემცველი ქანები);
- სუბდუქციურ პროცესებთან დაკავშირებული მადანმატარებელი (მოლიბდენი, ოქრო, სპილენძი) ინტრუზული და ვულკანური კომპლექსების გამოვლინება;
- არაბეთი-ევრაზიის ფილების კოლიზიასთან დაკავშირებულია აქტიური რღვევების შესწავლა.

აღნიშნული ორი ძირითადი ამოცანა შედგება შემდეგი ქვეამოცანებისაგან:

1) სეისმური რისკი

ა) აქტიური სტრესების ველი: GPS ახალი მონაცემების შეკრების საფუძველზე;

ბ) სეისმური კატალოგები;

გ) აქტიური რღვევები და სეისმური ზონები (რღვევების 3D გეომეტრია, კინემატიკა Mმაქსიმუმი);

დ) სეისმური საშიშროების შეფასება (რუკები);

ე) რისკის შეფასება. (თითოეული ქვეყნიდან ერთი ქალაქის რუკა).

2) ბუნებრივი რესურსები

ა) აუზების ევოლუცია;

ბ) მაგმური სისტემები;

გ) სუტურული ზონები და პალეოტექტონიკური რეკონსტრუქციები (ამ ქვეამოცანაში პალეომაგნეტიზმის ჩართვით);

დ) მაგმატიზმთან დაკავშირებული მეტალოგენია.

ქართველ მეცნიერთა ჯგუფი მონაწილეობას მიიღებს ზემოთაღნიშნულ ყველა კვლევაში.

დანართი N3

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის 2014 წლის 19 ივლისის

72 ბრძანებით

საპროექტო წინადადების ფორმა

კონკურსში: „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში" მონაწილე პროექტის დასახელება
საკვანძო სიტყვები:
პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, თანამდებობა და სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი):
წამყვანი ორგანიზაცია
ინსტიტუტის/ლაბორატორიის ტელეფონი და ელფოსტა
ძირითადი პერსონალის სახელი და გვარი: სამეცნიერო ხარისხი და თანამდებობა (გარდა სამეცნიერო ხელმძღვანელისა)
ძირითადი პერსონალის უკანასკნელი 5 წლის სამეცნიერო პუბლიკაციები (ყველა მონაწილისათვის ჯამში არაუმეტეს 10-სა):
ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლი (სახელი, გვარი):
თანამონაწილე ორგანიზაცია
ინსტიტუტის/ლაბორატორიის ტელეფონი და ელფოსტა
ძირითადი პერსონალის სახელი და გვარი: სამეცნიერო ხარისხი და თანამდებობა
ძირითადი პერსონალის უკანასკნელი 5 წლის სამეცნიერო პუბლიკაციები (ყველა მონაწილისათვის ჯამში არაუმეტეს 10-სა):
ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი (სახელი, გვარი):
პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის აღწერა (არაუმეტეს 10 გვერდისა): 1. საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის რომელი ამოცანების შესრულებაში მიიღებს მონაწილეობას ძირითადი პერსონალი (ამოცანების დასახელება, მათი არსის განმარტება); 2. განსახორციელებელი საქმიანობის აქტუალურობა; 3. კვლევის შესაბამისობა საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის მიზნებთან და ამოცანებთან; 4. კვლევის მეთოდიკის შესაბამისობა საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის მიზნებთან და ამოცანებთან; 5. მოსალოდნელი შედეგები და მათი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები; 6. კვლევის უზრუნველყოფის საშუალებებისა და აღჭურვილობის მოკლე აღწერა/ჩამონათვალი; 7. სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

მოთხოვნილი თანხა (მთლიანად და წლების მიხედვით):
მიუთითეთ საქმიანობის დაფინანსების დამატებითი წყაროები (არსებობის შემთხვევაში) და თანხების მოცულობა (ევროში)

დანართი N4
დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2014 წლის 19 ივნისის
72 ბრძანებით

,,ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში" 2014-2017

ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება

№	ხარჯის კატეგორია	I ტრანში	II ტრანში	III ტრანში	IV ტრანში	სულ ევრო
1	ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება	-	-	-	-	-
1.1.						
1.2.						
1.3.						
2	დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება					-
3	მივლინება					-
4	საქონელი და მომსახურება					-
4.1.						
4.2.						
4.3.						
5	არაფინანსური აქტივები					-
5.1.						
5.2.						
5.3.						
6	ზედნადები ხარჯი					-
	სულ	-	-	-	-	-

დანართი N5

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის 2014 წლის 13 აგვისტო

72 ბრძანებით

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

(ამოცანების ჩამონათვალი პერიოდებისა და შემსრულებლების მითითებით)

№	ამოცანის დასახელება	ამოცანის შესრულების სავარაუდო დრო თვეების მიხედვით	ძირითადი შემსრულებლები
1		(მაგ., მე-9-12 თვე)	
2			
3			
4			
n			

თვეები გადათვალეთ პროექტის დაწყებიდან

დანართი N6

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის 2014 წლის 19 აგვისტო

72 ბრძანებით

პროექტის მონაწილის პროფესიული ბიოგრაფია (CV)

1. სახელი, გვარი

2. განათლება

	წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი
1				
2				

3. სამუშაო გამოცდილება

	წლები	თანამდებობა	დეპარტამენტი/განყოფილება	ორგანიზაცია
1				
2				

4. პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 5-სა)

	წელი	პუბლიკაციის დასახელება	ჟურნალის დასახელება, ტომი, ნომერი (გამომცემლობა)	პუბლიკაციის სახე (სტატია, მონოგრაფია, სახელმძღვანელო)
1				
2				

5. გამოგონებების, პატენტების ჩამონათვალი (არაუმეტეს 5-სა)

	წელი	დასახელება და რეკვიზიტები	სად არის დაცული (მიუთითეთ ქვეყანა)
1			
2			

6. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (არაუმეტეს 5-ისა)

	წლები	როლი პროექტში	პროექტის დასახელება	დაფინანსების წყარო
1				

2				

7. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (არაუმეტეს 5-ისა)

	წელი	ღონისძიების დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი
1				
2				

8. უცხო ენების ცოდნა (აღნიშნეთ შესაბამისი გრაფა)

	ენის დასახელება	საშუალოდ	კარგად	თავისუფლად
1.				
2.				

დამატებითი ინფორმაცია სურვილისამებრ (ჯილდოები, სტიპენდიები, სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციების წევრობა და სხვა)

დანართი N7

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის 2014 წლის ---19--- ---აგვისტო---

---72--- ბრძანებით

,,ქართველმეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისოკვლევითიჯგუფი - დედამიწისშემსწავლელიმეცნიერებებისამხრეთკავკასიაში“ საგრანტო კონკურსი
პროექტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის, მკვლევართა ჯგუფისა და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენ, ქვემო ხელისმომწერნი, წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2014 წლის 28 ივლისის N 93/ნ ბრძანებას ,,სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსის,,ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში"დებულების დამტკიცების თაობაზე, აგრეთვე, სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოვალობის შემსრულებლის ბრძანებას ,,ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში“ კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ, საგრანტო პროექტების შეფასების წესს და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ კონკურსის პირობებზე თანხმობას. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდში ელექტრონული ფოსტით წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს.

ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან. გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი პროექტი კონკურსში ,,ქართველმეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისოკვლევითიჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში“ მისაღებად.

1. **პროექტის შიფრი:**

2. **პროექტის სახელწოდება:**

3. **პროექტის საერთო ბიუჯეტი (ევრო):**

4 . **პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):**

5. **პროექტის წარმომდგენ მკვლევართა ჯგუფი:**

პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალი (გვარი, სახელი)	როლი პროექტში	ხელმოწერა
	ხელმძღვანელი	
	ძირითადი მონაწილე	

6. საბაზო ორგანიზაცია:

საბაზო ორგანიზაციის სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	საბაზო ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	ხელმოწერა

ბეჭედი